უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის

საბჭოს სხდომის ოქმი N 09

ქ. თბილისი

სხდომი თარიღი 16/03/2020
სხდომის დაწყების დრო 14:30
სხდომის დასრულების დრო 15:30
საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი - ნიკოლოზ კიკნაძე
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);
2. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (საბჭოს მდივანი);
3. **დიმიტრი გეგენავა** - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
4. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი;
7. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (ჩაერთვნენ სკაიპით)

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გიორგი სოსიაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	I
3	იოსებ ალიმბარაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	I
4	დავით ჩოჩიშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი

აკრედიტაციის ექსპერტები (ჩაერთვნენ სკაიპით)

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თეიმურაზ პაპასქირი	ჩაერთო სკაიპის საშუალებით	I
2	გვანცა აბდალაძე		I
3	ოლეგ კაკუშაძე		I

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
4. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა;
5. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი

1. **პირველი საკითხი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 4 დეკემბერი №243
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბალაკავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაცის კოდი[7]	1004
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელებსი ადგილი[8]	საქართველო, 1400, გორი, ილია ჭავჭავაძის ქ N53, სასწავლო კორპუსი №1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ მხოლოდ არსებით და მნიშვნელოვან საკითხებზე გაემახვილებინათ ყურადღება, რადგან ფორსირებულ რეჟიმში უწევდათ მუშაობა და კომუნიკაციის დამყარება უჭირდათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში შედგა 2019 წლის 20-21 დეკემბერს. მან დააზუსტა, რომ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ ვითარებაში და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა. ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის პირველ, მე-3 და მე-5 სტანდარტებთან, ხოლო მეტწილად შესაბამისობაშია მე-2 და მე-4 სტანდარტებთან. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გასცეს უცხოელი პროფესორების მიერ წასაკითხ საგნებთან დაკავშირებით, სადაც მითითებული ჰქონდათ, რომ აღნიშნული საგნები გადაეცეს შესაბამისი პროფილის ქართველ სპეციალისტებს, ვინაიდან დადგებოდა ენობრივი პრობლემები. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში უნდა შესწორდეს ხარვეზი, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორიის, ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორიის საგნების პერიოდიზაციასთან მიმართებაში. ასევე, საკურსო ნაშრომის შეფასების სისტემა იყო შესასწორებელი. ექსპერტმა გ. ა-მ აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ მოცემულ პროგრამას ჰქონდა ქართულენოვანი სილაბუსები უცხოენოვანი ლექტორების მითითებით. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მარტივად შეუძლია გადაიტანოს არჩევით კურსებად, ან დატოვოს სავალდებულო კურსებად და შეცვალოს ლექტორები. ასევე, მას ჰქონდა რეკომენდაცია ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით სილაბუსებთან მიმართებაში და ასევე შეფასების ნაწილში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება კვალიფიკაციას, კერძოდ, შესასწორებელია დასაზუსტებელია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, უნდა განისაზღვროს - ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში ან ისტორიის ბაკალავრი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოედგინათ პოზიცია, კერძოდ, რომელ საკითხს არ ეთანხმებოდნენ და რატომ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2.6 სტანდარტთან მიმართებაში არ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას, რომელიც ეხება საკურსო ნაშრომს.

საბჭოს მხრიდან გამოითქვა მოსაზრება აკადემიური წერის სწავლების გაუმჯობესებასთან.

საბჭოს წევრებმა გამოაცხადეს სათათბირო შესვენება გადაწყვეტილები მიღების მიზნით.

დაწყების დრო: 15:20 სთ

დამთავრების დრო: 15:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგით.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

✓ აკრედიტაციის შესახებ
○ პირობითი აკრედიტაციის შესახებ
○ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ
○ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ განმარტებულ იქნა, რომ სამართლებრივი საფუძვლები, შესაბამისი რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამის რეკვიზიტები აისახება შესაბამის გადაწყვეტილებაში.

სხდომაზე არსებული ტექნიკური ხარვეზების გამო საბჭომ ვერ განაგრძო მუშაობა, ამიტომ საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება დანარჩენი საკითხების გადადების თაობაზე, რის შემდეგაც საბჭოს სხდომა დასრულდა 15:30 სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი